05/08/2025

MES 8 25 0000952244

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა:
სალომე აბრამიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლა:
მარიკა ფაიქიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა:
ნათია გაჩეჩილაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლა:
ნინო კომლაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლა:
ლალი ჯინჭარაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა:
ნელი ლიქოკელი - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა:
თინა სხირტლაძე - სკოლის აღმასრულებელი დირექტორი
მიხეილ ტეფნაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა:
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავითი ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლა:
ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლა:
ა) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნელიკო მათეშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლა:
ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ საჩანელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ)სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა:
ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სერგო დურგლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფაილოძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 23 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში STEM მიმართულების გაძლიერების მიზნით, STEM საგნების მასწავლებლები და მოქმედი STEM კლუბი “Argveti+” აქტიურად თანამშრომლობდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან არსებულ STEM კლუბ „ჩხირკედელასთან“, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში, ახორციელებდნენ არაერთ საინტერესო პროექტს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა ჩართული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტში “STEM კონცეფცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო პროგრამების განვითარებისთვის“. პროექტის ფარგლებში გადამზადებას გადიოდა სკოლის 4 მასწავლებელი (მათემატიკის, ისტ-ის, ფიზიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლები). აღნიშნულ პროცესებში ჩართული იყო კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი (ვარშავა, პოლონეთი). სკოლა თანამშრომლობდა ამერიკის „მშვიდობის კორპუსთან“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს ჰყავდა ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი.

სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი გახდა იმერეთის რეგიონის სამოქალაქო განათლების საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მფლობელი. სკოლა თანამშრომლობდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, პროფესიულ კოლეჯებთან და სხვა.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო სწავლებისთვის საჭირო ყველა რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას მდგრადობის შესახებ დასკვნა.

ექსპერტის, ვერა ყურულაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე, ჰქონდა მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებისთვის.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა მეთოდს იყენებდნენ „დებატ კლუბის“ 15 მოსწავლის შერჩევისთვის, ასევე, კლუბის სამუშაო გეგმის მიხედვით, კლუბის წევრები იკრიბებოდნენ ორ კვირაში ერთხელ და დაინტერესდა, რატომ იყო ჯამში 9 შეხვედრა ჩატარებული.

სკოლის დირექტორის, სალომე აბრამიშვილის, განმარტებით, დებატ კლუბის წევრები საკმაოდ ხშირად იკრიბებოდნენ და მითითებული რიცხვი „9“ იყო უზუსტობა, ასევე უზუსტობა იყო, რომ დებატ კლუბი შედგებოდა 15 მოსწავლისგან, ვინაიდან აღნიშნულ კლუბში გაწევრიანება შეეძლო ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, საბჭოსთვის გაეცნო მეტი დეტალი მშობელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ, ასევე, მიმართა საზოგადოებრივი

მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა ხორციელდებოდა თუ არა სასკოლო პროექტები გეოგრაფიისა და ისტორიის მიმართულებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, პერიოდულად მშობლებს ეგზავნებოდათ კითხვარები და ტარდებოდა კვლევები, თუ რას ფიქრობდნენ სკოლაზე, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ და ა.შ.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, კახა გალდავამ, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მასწავლებლები არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის ახორციელებდნენ პროექტებს, მათ შორის გეოგრაფიასა და ისტორიაშიც.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ექსპერტებს შესწავლილი ჰქონდათ თუ არა შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე, ექიმის აყვანასთან დაკავშირებით რა ეტაპზე იყო სკოლა და მიმართა სახელმწიფო ენის ექსპერტს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.
სკოლის დირექტორის, სალომე აბრამიშვილის განმარტებით, სკოლას ჰყავდა ეტლით მოსარგებლე ერთი მოსწავლე და ერთი სპეციალური მასწავლებელი, მისი თქმით, სკოლის შენობა არ იყო ადაპტირებული, თუმცა, 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოწყობილი ექნებოდათ ადაპტირებული საპირფარეშო. ექიმთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხებით ჰყავდათ ექთანი და ექიმის ვაკანსიის გამოცხადებას აპირებდნენ აგვისტოს თვეში.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის, ნინო წიკლაურის განმარტებით, გაცემული რჩევები ეხებოდა საათობრივ ბადეს, მისი თქმით, საათების რაოდენობა არ იყო თანხვედრაში წლიური საათების რაოდენობასთან. აქვე, განმარტა, რომ დაწესებულებას საკმაოდ მოწესრიგებული დოკუმენტაცია ჰქონდა სხვა მხრივ.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა შიდა მექანიზმები ჰქონდა სკოლას მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებაში იყო გუნდური მუშაობის პრაქტიკა, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, ასევე, მასწავლებლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგს და შემდგომ მიღებულ ცოდნას უზიარებდნენ სხვა მასწავლებლებსაც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდნენ. SWOT ანალიზში გამოტანილი სუსტი მხარეების გასაძლიერებლად.
სკოლის წარმომადგენლის თქმით, ერთ-ერთ სუსტ მხარეს მშობელთა ჩართულობა წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობას, ჰქონდათ მათთან მუდმივი კომუნიკაცია და აორგანიზებდნენ შეხვედრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:42
დასრულების დრო - 14:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 239402767) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის ივლისში 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ადაპტირებული გარემოს მოწყობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების, ხოლო 2025 წლის სექტემბერში სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლად რეაბილიტირებული, ჰქონდა ადაპტირებული და კეთილმოწყობილი გარემო, სარეკრეაციო სივრცე, ლიფტი და სხვა, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ბიბლიოთეკარი.

ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, დაადასტურა, რომ სკოლას ჰყავდა ბიბლიოთეკარი.

აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკასთან მიმართებით სკოლას ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები და დაინტერესდა, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში მოასწრებდა თუ არა სკოლა აღნიშნულის აღმოფხვრას. ასევე, რა ვითარება იყო კვალიფიციური თანამშრომლების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტის, რაინდი როდონაიას განმარტებით, ვადებთან დაკავშირებული კითხვა გაუჩნდა ექსპერტთა ჯგუფსაც, თუმცა, სკოლის წარმომადგენელი ადასტურებდა, რომ შეძლებდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვას.

სკოლის დირექტორის, მარიკა ფაიქიძის განმარტებით, გამოცხადებული ჰქონდათ სპორტის მასწავლებლის ვაკანსია, თუმცა, ვაკანსიაზე განაცხადი არავის წარუდგენია და სამომავლოდ აპირებდნენ ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლის ვაკანსიების გამოცხადებას.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი ჰქონდა „ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვა და ხელშეწყობა“

და მიმართა სკოლის წარმომადგენელს საბჭოსთვის გაეცნო ინოვაციური მიდგომების დანერგვის ერთი მაგალითი მაინც, ასევე, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა რჩევაში, რომელიც ეხებოდა კურიკულუმების რევიზიას.
ექსპერტის, მერი ბეჟუაშვილის თქმით, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ნამდვილად იყო ბევრი ხარვეზი, თუმცა, მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, რომ მოახდენდნენ რევიზიას, ვინაიდან, მასწავლებლები მიუთითებდნენ, რომ კურიკულუმებს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი.
სკოლის დირექტორის, მარიკა ფაიქიძის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა წამყვანი მასწავლებელი, რომელიც მუდმივად ატარებდა შეხვედრებს სხვა მასწავლებლებთან და უზიარებდა გამოცდილებას. მისი თქმით, სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ შეისწავლა ისტორიის კურიკულუმები და დავალებებში არ შეიმჩნეოდა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე და რჩევით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტად დაეხვეწათ კურიკულუმების როგორც შინაარსი, ასევე ტექნიკური გამართულობაც.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო გაზომვადი ინდიკატორების გრაფა, ასევე, არ იყო მითითებული შესაბამისი რესურსები და აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ფაქტობრივად არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტის, რაინდი როდონაიას განმარტებით, სკოლის მიერ თავდაპირველად გადმოგზავნილი სამოქმედო გეგმა არ მოიცავდა ინდიკატორის მიერ მოთხოვნილ სავალდებულო ნორმებს, თუმცა, ვიზიტის დროს სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განახლებული სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, როგორი იყო შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებდნენ როგორც განმავითარებელ შეფასებებს, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:23
დასრულების დრო - 15:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 225065309) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფერსათი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფერსათი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფერსათი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში მე-2 სტანდარტთან მიმართებით , ასევე, 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალში ასახვისა და კვალიფიციური პედაგოგების დასაქმების, ასევე, 2025 წლის სექტემბერში განახლებული სამოქმედო გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა წარმოადგენდა მე-4 დანართის სკოლას და ახორციელებდა განვითარების შეფერხების, სენსორული და ქცევისა და ემოციური დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლის საქმიანობა გამოირჩეოდა მიზანმიმართული, პროფესიონალურად ორგანიზებული და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე ორიენტირებული მიდგომებით. ამ მიმართულებით სკოლას მრავალწლიანი საინტერესო და კარგი პრაქტიკა ჰქონდა. ექსპერტის თქმით, სკოლის პრაქტიკა დაფუძნებული იყო თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და პროფესიული მხარდაჭერის პრინციპებზე, რაც ქმნიდა რეალურ საფუძველს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და ღირსეული განვითარებისათვის. სკოლას ჰქონდა დაგროვებული მნიშვნელოვანი გამოცდილება ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნების, აუდიო და ტაქტილური მასალების გამოყენებაში, სივრცის ადაპტაციაში მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. ის თავადაც ქმნიდა მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს. ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას განეკუთვნებოდა მისი მზაობა გაეზიარებინა სხვა სკოლებისთვის საკუთარი გამოცდილება. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო სკოლის მიერ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის მასწავლებლებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რომლებსაც მუშაობა უწევდათ მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლესთან. ექსპერტის თქმით, ეს იყო კარგი პრაქტიკა იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა გამოცდილმა სკოლამ გააზიაროს ცოდნა და ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ეროვნულ დონეზე, ასევე დამყარდეს სკოლათაშორის თანამშრომლობა და შეიქმნას პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, ჰქონდა ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი. მისი თქმით, სკოლა იყო პანსიონური მომსახურების და ამ მიზნით ჰქონდა საცხოვრებელი ოთახებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, რომ სსიპ-ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა ყველაფერს აკეთებდა ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მისაწოდებლად.
საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, სკოლის ყველა შენობა იყო თუ არა რეაბილიტირებული.
ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლის ბალანსზე ირიცხებოდა 9 შენობა, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ შენობაში და ეს შენობა იყო სრულად რეაბილიტირებული.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ყველა ის რესურსი, რომელიც ნამდვილად ესაჭიროებოდა სსსმ მოსწავლეებს და მისასალმებელი იყო სკოლის დირექტორის მსგავსი პასუხისმგებლობით მიდგომა საქმისადმი.
სკოლის დირექტორმა, ნათია გაჩეჩილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის განვითარებასა და მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში დიდი წვლილი მიუძღვოდათ სკოლის მასწავლებლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:12
დასრულების დრო - 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლას (ს/კ:206091398) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გუთნის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გუთნის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გუთნის ქუჩა N2

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, მე-2 სტანდარტის შესაბამისობის გრაფაში მონიშნული იყო, როგორც „შეესაბამება“, ნაცვლად „მეტწილად შეესაბამება“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო, მისი თქმით, ფოიეში გამოფენილი იყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრები და ჰქონდა სწავლებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექპერტს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ირინა გოგონაიას თქმით, მასწავლებლები ხშირად ატარებდნენ ცდებს და დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, აღნიშნული აქტივობები აესახათ კურიკულუმებშიც.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ მე-9 კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში იყო ჩანაწერი „აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა“ და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდნენ აღნიშნულ ჩანაწერში, ასევე, აღნიშნა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებს ასწავლიდა ერთი მასწავლებელი და კურიკულუმების ჩარჩო იყო განსხვავებული და მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა რა ვითარება იყო ამ მიმართულებით სკოლაში.

სკოლის დირექტორმა, ნინო კომლაძემ, აღნიშნა, რომ მე-9 კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა აუცილებლად გადაიხედებოდა და ჩასწორდებოდა წარმოდგენილი ჩანაწერი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა ნანა მარღანიამ, აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ჰქონდათ მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.

აქვე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული რემედიაციის წესი.

ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რემედიაციის წესი შემუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, რომ სკოლის დერეფანში მოსწავლეების ნამუშევრებთან ერთად გამოფენილი იყო მასწავლებელთა ნამუშევრებიც და აქვე, დაინტერესდა, სპორტის რომელ სახეობებს ასწავლიდნენ სკოლაში.

სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებაში ისწავლებოდა ფეხბურთი და კალათბურთი და აპირებდნენ ცურვისა ძიუდოს დამატებასაც, ვინაიდან ჰქონდათ აუზი და ჰყავდათ ძიუდოს სპეციალისტი მასწავლებელიც.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ადაპტირებასთან დაკავშირებით გადადგმული ჰქონდათ თუ არა რაიმე ნაბიჯი.

სკოლის დირექტორმა, ნინო კომლაძემ, განმარტა, რომ არ ჰყავდათ სსსმ მოსწავლე, თუმცა ადაპტირებასთან გარემოს შექმნასთან დაკავშირებით აპირებდნენ მიმართვას შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში ექნებოდათ ლიფტიც.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის გაცნობის შემდგომ რა ნაბიჯები გადადგა რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებისთვის და რა გეგმები ჰქონდათ სამომავლოდ.
სკოლის დირექტორმა, ნინო კომლაძემ, აღნიშნა, რომ რჩევათა ნაწილი მასწავლებლებმა ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორეს ასევე, აქტიურად მუშაობდნენ და რჩევებისა და რეკომენდაციის დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ პრეზენტაციის დროს წარმოდგენილ ფოტოებზე წარმოდგენილი იყო, რომ საპირფარეშოებს არ ჰქონდა კარები და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორის თქმით, საპირფარეშო, რომელსაც არ ჰქონდა კარები იყო რამდენიმე და აპირებდნენ ამის გამოსწორებასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:55
დასრულების დრო - 16:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლას (ს/კ: 239403873) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლა

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლა

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, პირველიდან მეორე სართულზე გადასაადგილებელი ლიფტის/შესაბამისი მოწყობილობის მოწყობისა და საპირფარეშოებზე კარების დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მაია ბუაძემ, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი.
ექსპერტის თქმით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის სკოლას ჰქონდა გახანგრძლივებული სწავლება, ხატვის წრე, ქორეოგრაფიული წრე, ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის წრე, ფეხბურთისა და კალათბურთის წრე, ასევე, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობდა სამოქალაქო განათლების კლუბსა და სპორტულ კლუბს „ოლიმპია“.

ექსპერტმა, მაია ბუაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ევროპის უნივერსიტეტთან და სსიპ-კოლეჯ მერმისთან. აქვე, დასძინა, რომ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები შეხვდნენ პროკურატურისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. მისი განმარტებით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა სასწავლო და სოციალური პროექტები და სხვადასხვა ღონისძიებები.
ექსპერტმა, მაია ბუაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, აიყვანა თუ არა სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სკოლის დირექტორის, ლალი ჯინჭარაძის განმარტებით, რომ რესურსცენტრის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ითანამშრომლებდა სკოლასთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმები იყო ძალიან კარგად შედგენილი და მოწესრიგებული ჰქონდათ ყველა კომპონენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:21
დასრულების დრო - 16:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N114 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007820) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის N29
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის N29
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის N29

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ

ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 900. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 900 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი კულტურა, დაარსების დღიდან გერმანული ენის გაძლიერებულად სწავლების მიმართულებით ვითარდებოდა და აღნიშნა, რომ სკოლის მიზანს წარმოადგენდა გერმანულენოვან საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბება, აქვე, დასძინა, რომ დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში და მოსწავლეებს ხელს უწყობდა პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლად რეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ჯანსაღი გარემო, აღჭურვილი ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, ჰქონდა ორი ლიფტი და ადაპტირებული გარემო.
ექსპერტის თქმით, დაწესებულება ხელს უწყობდა არაფორმალური განათლების განვითარებას და მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ და კოლეჯთან „იკაროსი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:39
დასრულების დრო - 16:46

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლას (ს/კ: 216317260) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი რუსთავი, დავით გურამიშვილის ქუჩა N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი რუსთავი, დავით გურამიშვილის ქუჩა N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი რუსთავი, დავით გურამიშვილის ქუჩა N6

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სახანძრო ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ითვალისწინებდა მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას, დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას. მისი თქმით, სკოლის ფილოსოფია მკაფიოდ ასახავდა ეროვნულ საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობას, მისია მიზნად ისახავდა მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული, დემოკრატიული და ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცის შექმნას.

ექსპერტის თქმით დაწესებულებას ჰქონდა 6 შენობა და მათგან ყველა აკმაყოფილებდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების კრიტერიუმებს, საგანმანათლებლო სივრცეები იყო ფუნქციურად გადანაწილებული.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. მისი თქმით, დერეფანში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები და სასკოლო საზოგადოებას სკოლის მიმართ ჰქონდა მიკუთვნებულობის განცდა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნაში ასევე ასახული იყო დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომაც შეფასდა ყველა სტანდარტი სრული შესაბამისობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ისტორიის საგანში რამდენიმე დავალების იდეაში არ იყო ნახსენები მეფე ვახტანგ გორგასალი, ასევე, არ იყო დავალებები გაქრისტიანების შესახებ და იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება იყო წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.

სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა, თინა სხირტლაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა იმ რეგიონში, სადაც მეფე ვახტანგ გორგასალმა ჩამოაყალიბა პირველი ეპარქიებიდან ერთ-ერთი, აქვე, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, მიხეილ ტეფნაძემ, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს სკოლა იყო, დაწესებულებაში სწავლობდა მუსლიმი თემიც და სწავლების დროს ითვალისწინებდნენ ამ მოცემულობასაც.

საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი დეტალი გაეცნო უსტატუსო მასწავლებლებთან დაკავშირებით.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, მიხეილ ტეფნაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ორი უსტატუსო მასწავლებელი და ორივე იყო სპორტის პედაგოგი, თუმცა, ჩაბარებული ჰქონდათ საგნობრივი გამოცდები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლას მიმდინარე პერიოდში არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა მოძიებული ჰყავთ კონკრეტული პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევდა სსსმ მოსწავლეს და როდესაც სკოლას ეყოლებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, დაასაქმებდნენ კონკრეტულ პიროვნებასაც, ასევე, ყველა შენობა იყო ადაპტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის უწყვეტობიდან გამომდინარე, მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარითად განსაზღვრულიყო 2025 წლის 23 ივლისი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:05
დასრულების დრო - 17:12

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლას (ს/კ: 428518017) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 23 ივლისი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქუჩა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქუჩა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქუჩა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე